

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - სოციოლოგია
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციოლოგიის მაგისტრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 120 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა 4 სემესტრი, სემესტრში 30 კრედიტი
4. სწავლების ენა – ქართული
5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - კახა ქეცბაია
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
 - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით.
 - საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები.
 - შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო საგანი - სოციოლოგია)
(საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=860)
 - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

7. პროგრამის მიზანი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრიატის დონეზე მიღებული ცოდნის კონკრეტული და სიღრმისეული გაფართოება, როგორც თეორიული სოციოლოგიის, ისე, სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა, სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტების (პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტების ანალიზსა და კომენტარებს (არჩევითი კურსები) და ძირითადი დარგობრივი სოციოლოგიების მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს კურსების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის რელევანტური სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლებიც მაგისტრატურის დონეზე სოციოლოგიის კურიკულუმს კონცეპტუალურად ადეკვატურად ხდის. თანამედროვე საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა კვალიფიციურ სოციოლოგიურ კადრებზე მზარდი მოთხოვნა წარმოშვა შრომის ბაზარზე. ამის გათვალისწინებით პროგრამა თანამედროვე დასაქმების ბაზარზეა ორიენტირებული და შესაბამისად მიღწევადია.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- პროგრამის დასრულების შემდეგ სოციოლოგიის მაგისტრი ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას სოციოლოგიაში, სოციოლოგიის ძირითად თეორიებსა (კლასიკური და თანამედროვე), კვლევის მეთოდებსა და უმთავრეს დარგობრივ სოციოლოგიებში. მას შეუძლია არა მხოლოდ ამ ცოდნის გაზიარება, არამედ მისი ოპერაციული გამოყენება.
- სოციოლოგიის პრობლემების სიღრმისეული ცოდნა.
- სრულყოფილი ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ჩასატარებლად აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ცოდნა-გაცნობიერება. თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი მეთოდებისა და მეთოდოლოგიების ცოდნა.
- აქვს სოციოლოგიური თეორიების, სოციოლოგიური პარადიგმებისა და მეთოდოლოგიის ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნა, რომელიც შრომის ბაზარზე თანამედროვე სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა.
- სრულად ფლობს სოციოლოგიის თეორიულ და კვლევით მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- სოციოლოგიის მაგისტრი ფლობს სრულფასოვანი ემპირიული კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს (შეუძლია თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის);
- სოციოლოგიის მაგისტრს აქვს უნარი განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზები და ჩამოაყალიბოს არსებითი და ეფექტური რეკომენდაციები ამ პრობლემების გადასაჭრელად; ექნება უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში როგორც მკვლევარი ან თავად წაუძღვეს კვლევითი პროექტის განხორციელებას; ხარისხიანად და მაღალ დონეზე აწარმოოს კვლევა არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით.
- სამეცნიერო მოხსენებების წარდგენის (პრეზენტაციის) უნარი. აზრის სიზუსტის მიღწევის უნარი და მისი ადაექვატური გამოყენების უნარი მეცნიერულად რთული და წინააღმდეგობრივი დებატებისას, არა მარტო სოციოლოგიის, არამედ ინტერდისციპლინარულ დისკურსში.
- სხვადასხვა ტარადიციასა და ეპოქაში გამოთქმულ სოციოლოგიურ შეხედულებათა და ტექსტთა აზრის ინტერპრეტაციის უნარი. სახვადსხვა დროისა და ტრადიციის სოციოლოგიური და არა მარტო სოციოლოგიური, ტექსტების სათანადოდ აღქმის უნარი.
- დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევებს.
- შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

დასკვნის უნარი

- მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია სოციოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე გააკეთოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.
- შეუძლია სოციოლოგიის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს;
- ფლობს კვალიფიციური მეცნიერული დასკვნისათვის აუცილებელ მეცნიერულ - ლოგიურ (ლოგიკურ-სოციოლოგიურ) ტერმინოლოგიასა და მეთოდოლოგიას.
- დასკვნის გაკეთებისას არის კომპეტენტური და ობიექტური.
- დასკვნის გაკეთებისას ითვალისწინებს სოციოლოგიური მეცნიერების სპეციფიკას, თანამედროვე სოციოლოგიურ მიდგომებს და ორიენტირებულია პრობლემის გადაწყვეტაზე.

კომუნიკაციის უნარი

- მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია კომუნიკაცია დაამყაროს როგორც ქართულ, ისევე უცხო ენაზე ყველა იმ ადამიანთან თუ ჯგუფთან, რომლებიც მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ (რესპონდენტები, ექსპერტები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები და სხვ.). მას განვითარებული აქვს სოციალური უნარები, კერძოდ, შეუძლია ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა.
- კომუნიკაციის პროცესში (საჯარო სოციალურ დებატებში და სხვა.) არის სასურველი, საინტერესო და ტოლერანტული.
- აქვს ურთიერთსასრებლო თანამშრომლობისა და ინტერაქციის უნარი; ემპათიის უნარი; ადამიანების პერსპექტივაში დანახვისა და დადებითი კომუნიკაციისათვის აუცილებელი ზომიერების დაცვის უნარი.

სწავლის უნარი

- სოციოლოგიის მაგისტრი შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და წარმართვას. შეუძლია მის მიერ ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცეს სხვებს.
- კარგად არის გარკვეული სოციოლოგიის სწავლების თავისებურებებში და გაცნობიერებული აქვს მისი სპეციფიკა.

ღირებულებები

- რამდენადაც სოციოლოგია არის ღია, დემოკრატიული საზოგადოების თეორია, ამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების საქმეში.
- აქვს პოზიტიური აქსიოლოგიური ხედვა.
- პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა
- კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველ რიგში, მათი ანონიმურობის დაცვა.
- პლაგიატის უარყოფა.
- ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				ლექტორი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
სავალდებულო კურსები/მოდულები - 60 კრედიტი											
1.	აქსიოლოგია	SOCI M 205	3	35	40	3				სსუ პროფესორი კ. ქეცაია	წინაპირობა არა აქვს
2.	ხელოვნების სოციოლოგია	SOCI M 210	3	35	40		3			ფილოს. დოქტ. თ. ორკოდაშვილი (მოწვეული)	SOCI M 204
3.	რაოდენობრივი კვლევები სოციოლოგიაში	SOCI M 201	6	65	85	6				სსუ ასოც.. პროფ. კ. ნონიაშვილი	წინაპირობა არა აქვს
4.	სოციალური ეკოლოგია	SOCI M 202	3	35	40	3				სსუ ასისტ. პროფესორი მ. გაგომიძე	წინაპირობა არა აქვს
5.	სოციალური დემოგრაფია	SOCI M 203	6	65	85	6				სსუ ასოც. პროფ. თ. შინჯიაშვილი	წინაპირობა არა აქვს
6.	სოციოლოგია	SOCI M 204	6	65	85	6				სსუ პროფესორი კ. ქეცაია	წინაპირობა არა აქვს
7.	სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში	SOCI M 205	6	65	85		6			სსუ ასოც. პროფესორი მ. ფაცაცია	წინაპირობა არა აქვს
8.	თვისებრივი კვლევები სოციოლოგიაში	SOCI M 206	6	65	85		6			სსუ ასოც. პროფ. კ. ნონიაშვილი	SOCI M 204
9.	პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია	SOCI M 207	3	35	40		3			სსუ ასისტ. პროფ. დ. ზაქარაია	SOCI M 204

10.	სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები)	SOCI M 208	6	65	85			6		სსუ პროფესორი კ. ქეცბაია	SOCI M 204
11.	მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	SOCI M 220	6	65	85			6		ელენე ჩომახიძე ფსიქოლოგიის დოქტორი	SOCI M 205
12.	მეცნიერების სოციოლოგია	SOCI M 209	6	65	85			6		სსუ ასოც. პროფ. თ. შინჯიაშვილი	SOCI M 204
13.	პროფესიული პრაქტიკა	SOCI M 218	6	105	45			6		სსუ პროფესორი კ. ქეცბაია	I და II სემესტრის სავალდებულო საგნები
14.	სამაგისტრო ნაშრომი	SOCI M 220	30	65	685				30		I და III სემესტრის სავალდებულო საგნები
არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი							6	12	6		
1.	უცხო - ენა B2 დონე	ENGL M 201 GERM M 201 FREN M 201 RUSS M201	6	65	85					სსუ პროფესორები: ე. კილანავა, ქ. გალობერი, ლ. ქობალია, მ. კაჭარავა	წინაპირობა არა აქვს
2.	დარგობრივი უცხო - ენა	ENGL M 202 GERM M 202 FREN M 202 RUSS M 202	6	65	85					სსუ პროფესორები: ე. კილანავა, ქ. გალობერი, ლ. ქობალია, მ. კაჭარავა	ENGL M 201 GERM M 201 FREN M 201 RUSS M201
3.	კულტურის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები	SOCI M 211	6	65	85					სსუ პროფესორი კ. ქეცბაია	SOCI M 204
4.	კომუნიკაციების სოციოლოგია	SOCI M 212	6	65	85					ფილოლოგიის დოქტორი მ. დოლიძე (მოწვეული)	წინაპირობა არა აქვს
5.	რეკლამის სოციოლოგია	SOCI M 213	6	65	85					ფილოლოგიის დოქტორი მ. დოლიძე (მოწვეული)	წინაპირობა არა აქვს

6.	ინსტიტუციურ ცვლილებათა სოციოლოგია	SOCI M 214	6	65	85					სსუ ასოც. პროფ. კ. ნონიაშვილი	წინაპირობა არა აქვს
7.	ჟან-ფრანსუა ლიოტარი: „პოსტმოდერნული მდგომარეობა“ – ტექსტი და კომენტარი	SOCI M 219	6	65	85					სსუ პროფესორი კ. ქეცბაია	წინაპირობა არა აქვს
8.	- სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები: ემილ დიურკემი: „სოციოლოგიის მეთოდის წესები“ – ტექსტი და კომენტარები	SOCI M 215	6	65	85					ფილოსოფიის დოქტორი მ. აშოკაძე (მოწვეული)	SOCI M 204
9.	- სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები: ენტონი გიდენსი: „საზოგადოების აგებულება-სტრუქტურაციის თეორიის მონახაზი“ – ტექსტი და კომენტარები	SOCI M 216	6	65	85					სსუ სრული პროფესორი კ. ქეცბაია	წინაპირობა არა აქვს
10.	ლიდერობის ფსიქოლოგია	PSYC M 209	6	65	85					სსუ ასოც. პროფესორი კ. კობალიანი	SOCI M 204
11.	ზოგადი ფსიქოლოგია	PSYC M 225	6	65	85					სსუ ასოც. პროფესორი კ. კობალიანი	წინაპირობა არა აქვს
12.	ნიკლას ლუმანის სოციოლოგია	SOCI M 217	6	65	85					სსუ-ს ასისტენტ პროფ. შ. კორტავა	წინაპირობა არა აქვს
13.	ეკონომიკური პოლიტიკა	SOCI M 218	6	65	85					სსუ სრული პროფესორი რ. ხარებავა	წინაპირობა არა აქვს
ს უ ლ - 120 კრედიტი							30	30	30	30	